შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 51

06/01/2015

რიგი გადამხდელების მიმართ ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილის და "გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვინაიდან ვერ ხერხდება შპს „ე.მ.ბ.ი."–ს (ს.ნ 406044418) (ბრძ. #007-419), შპს „კახეთი ქინძმარაულის" (ს.ნ 241570215) (ბრძ. #070-70) და შპს „ალექსანდრეს" (ს.ნ6433101369) (ბრძ. #053-36) მიმართ ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ გამოცემული „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ" ბრძანებების საგადასახადო კოდექსის დადგენილი წესით ჩაბარება, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გადამხდელისათვის საჯარო შეტყობინებების მიზნით განხორციელდეს მათი საჯაროდ გავრცელება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსების მიზნით, ზმოაღნიშნული ბრძანებები გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ბრძანებების შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (www.rs.ge) გამოქვეყნება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ადმინისტრირების დეპარტამენტის გადახდევინების ღონისძიებების სამმართველო №133322-21-05 09.12.2014 წ სამსახურებრივი ბარათი.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი